24/10-01

01.10.2024 წ

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობით შპს უმ ფარის რესტორანთ (რეგისტრირებული 12/10/2022წელს, საიდენტიფიკაციო კოდი:406349937) წარმოდგენილი მისი დირექტორის მილენა მუსაევის (პ/ნ 01027074637) სახით, შემდგომში მოხსენიებულია, როგორც "მიმნდობი", ენდობა ეკატერინე სიყმაშვილს (დაბ.26.06.1990 წ, პირადი N25001034820) რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც "მინდობილი პირი", და აძლევს უფლებამოსილებას „მიმნდობის" სახელით შპს „ უმ ფარის რესტორანთ"-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით სრულად იმოქმედოს არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად (გასხვისების, გაყიდვის, იპოთეკით დატვირთვის, დაგირავების და გაქირავების უფლების გარეშე). ამ მიზნით იყოს წარმოადგენელი საქართველოს იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, მერიის ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ლეგალიზაციის კომისიაში, აღიარების კომისიაში, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში, ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა ორგანიზაციულ დაწესებულებებში.

განახორციელოს ყველა ადმინისტრაციული საქმის წარმოება რაც საჭირო იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების და სხვა საქალაქო სამსახურებში განაშენიანების რეგულირების გეგმის შესათანხმებლად მისი ყველა ეტაპის გავლით, ჩემი სახელით წარადგინოს და მიიღოს განცხადებები, საბუთები, აზომვითი ნახაზები, ამონაწერი, მოაწეროს ხელი საჭირო დოკუმენტებს, განაცხადოს თანხმობები, მიიღოს ნებართვები, შეათანხმოს პროექტი, ჩაიბაროს გადაწყვეტილებები, მიიღოს სპეციალური ნებართვები, გადაიხადოს სპეცდადგენილი გადასახადები.

ზემოაღნიშნული მინდობილობის ფარგლებში ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად და განახორციელოს აღნიშნულ დავალებებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ქმედება.

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) თვის ვადით 2024 წლის 01 ოქტომბრიდან 2025 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით გადანდობის უფლების გარეშე.

შპს უმ ფარის რესტორანთ
დირექტორი
მილენა მუსაევი

შპს უმ ფარის რესტორანთ • UM FARIS RESTAURANT LLC • 406349937